პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი | № 250 (13942) | სამშაბათი, 24 ოქტომბერი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

ᲘᲓᲔᲣᲠᲘ ᲠᲬᲛᲔᲜᲘᲡ ᲫᲐᲚᲐ

Ეს იყო ოქტომბრიდან ხუთი წლის შემდეგ. ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოში იწყებოდა რესპუბლიკის ენერგეტიკის პირმშოს — ნემი ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის, ვოლხოვის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში მეორე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. და აი ერთხელ აქ, სამშენებლო მოედანზე, მოვიდნენ უცხოელები. ისინი დიდხანს და ყურადღებით ადევნებდნენ თვალს, როგორ მუშაობდნენ თავაუღებლივ ადამიანები მცხუნვარე მზის ქვეშ, როგორ ღვრიდნენ ოფლს. რათა მიმხვდარიყო, თუ რით იყო გამოწვეული მშენებელთა ენთუზიაზმი, ინგლისელმა სტუმარმა ჰკითხა ერთ-ერთ მუშას, რა ამოძრავებს, რა ახალისებს მას ასეთი თავდადებული შრომისათვის. მუშამ უპასუხა:

— ჩვენ კომუნიზმს ვაშენებთ!

უნდა მოგვსმინათ რა ღირსეულად, რა სიამაყით წარმოთქვა მუშამ ეს სიტყვები, რა მტკიცე რწმენა გამოსჭივოდა მის ნათქვამში.

ეი ეს კომუნისტური რწმენა — საბჭოთა ადამიანის ყველაზე ძვირფასი ღირსება — შთააგონებდა საბჭოთა ხალხს ორმოცდაათი წლის ისტორიული გზის ყველა ეტაპზე. ოქტომბრის დღეებშიც, როცა მას იერიში მიჰქონდა ძველ სამყაროზე, სამოქალაქო ომის წლებშიც, როცა გმირულად იცავდა თავის თავისუფლებას, პირველი ხუთწლედების პერიოდშიც, როცა საფუძველი ეყრებოდა საბჭოთა ქვეყნის ეკონომიურ და სამხედრო ძლიერებას, დიდ სამამულო ომშიც ფაშისტ დამპყრობლების წინააღმდეგ, ომისშემდგომ ხანაშიც, როცა ხალხი ფერფლიდან და ნანგრევებიდან აღადგენდა ქალაქებსა და სოფლებს, აღადგენდა ომით დანგრეულ მეურნეობას. იდეური რწმენა შთააგონებს საბჭოთა ადამიანებს ახლაც, კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის წლებში.

საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების ყველა ეტაპზე, ჩვენი ცხოვრების ყველა პერიოდში ჩვენი ქვეყნის მშრომელნი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით იჩენდნენ სამაგალითო თავდადებას, რევოლუციურ ორგანიზებულობას, სიმტკიცეს, სოციალისტურ დისციპლინასა და მიზანსწრაფულობას, მაღალ იდეურ რწმენას.

კომუნიზმის დიადი იდეალებისადმი, ვ. ი. ლენინის ანდერძისადმი უსაზღვრო ერთგულება — აი ძალა, რომელიც რაზმავს, შთააგონებს საბჭოთა ადამიანებს გმირულად იბრძოლონ ჩვენი სამშობლოს ეკონომიკისა და კულტურის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის, კომუნისტურ მშენებლობაში ახალი წარმატებებისათვის.

ამ ძალას მიჰყავდა ქართველი ხალხი ახალი ცხოვრების მშენებლობისათვის. მას უნდა უმადლოდეს იგი თავისი მატერიალური და სულიერი ძალების უმაგალითო აყვავებას. იგი დაეხმარა მას თავისი ქვეყანა — მეფის რუსეთის ჩამორჩენილი განაპირა მხარე — გადაექცია მოწინავე ინდუსტრიულ-აგრარულ რესპუბლიკად. ამ ძალის მეოხებით მან მზით გადახრუკული სამგორის ველი გადააქცია აყვავებულ ბაღად, კალაპოტი შეუცვალა მდინარეებს, შექმნა ახალი ზღვები, გააჩინაღდნა რუსთავი და ზესტაფონი, ტყვარჩელი და ტყიბული, ააგო ახალ სამრეწველო საწარმოთა კორპუსები. ეს ძალა დაეხმარა ქართველ ხალხს მიეღწია სასოფლო-სამეურნეო წარმოების უმაგალითო დონისათვის, კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აეყვანა თავისი ძველი თვითმყოფი კულტურა.

მაღალმა იდეურმა რწმენამ, მშობლიური საბჭოთა ქვეყნის ძლიერების განმტკიცებისადმი მისწრაფებამ განაპირობა აგრეთვე ის არნახული შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა, რომელიც სუფევს რესპუბლიკაში ჩვენი სახელმწიფოს 50 წლისთავის წინ. ტყუილად როდი ამბობენ ხალხში, რომ სიხარული და შრომა ერთმანეთისაგან განუყრელია. გულის გასახარელი ამბები მოდის ახლა საქართველოს ყოველი კუთხიდან — ამბები, რომლებიც მოწმობენ რესპუბლიკის მშრომელთა დიდ პატრიოტიზმს. ცხრა თვის გეგმა ჩვენმა მრეწველობამ 104 პროცენტით შეასრულა. თბილისის საწარმოებმა 21 ოქტომბერს შეასრულეს ათი თვის საწარმოო გეგმა, ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის ფონდში შეიტანეს დაახლოებით ხუთი მილიონი მახეთი. ღირსეულად ასრულებენ თავიანთ საიუბილეო ვალდებულებებს რუსთაველი მეტალურგები და ჭიათურელი მაღაროელები, ბევრი სხვა საწარმოს კოლექტივები. შესანიშნავად შრომობენ საქართველოს მეჩაიეები — მათ ჯერ კიდევ 14 სექტემბერს შეასრულეს თავიანთი ვალდებულება, მისცეს სახელმწიფოს 210 ათას ტონაზე მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი, ახლა კი მათ ანგარიშზეა უკვე 222 ათას ტონაზე მეტი.

ამ დღეებში უკეთესთაგან საუკეთესო კოლექტივებს — წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში გამარჯვებულთ გადაეცემათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს სამახსოვრო დროშები. გამარჯვებულთა შორის არის საქართველოს ოცამდე საწარმო და მეურნეობა.

საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებს შეგნებული აქვთ იდეური რწმენის ძალის უდიდესი მნიშვნელობა და მუდმივ ყურადღებას უთმობენ მშრომელთა აღზრდას კომუნიზმის საქმისადმი ერთგულების, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებისადმი ერთგულების სულისკვეთებით. სწორედ ეს არის მთელი ჩვენი ორგანიზაციულ-პარტიული და იდეოლოგიური საქმიანობის არსი, სული და გული.

ჩვენთვის ფუძემდებელი გახდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის მითითებანი იმის შესახებ, რომ კომუნისტური მშენებლობის შემდგომი წარმატებები ბევრად არის დამოკიდებული მშრომელთა შორის პარტიის იდეურ-პოლიტიკური მუშაობის გაქანებასა და დონეზე. იდეოლოგიური მუშაობის უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიგვაჩნია მუშათა კლასის, გლეხობის, ინტელიგენციის ღონისძიებათა მობილიზაცია, რათა აქტიურად იბრძოლონ სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის.

განსაკუთრებით ვზრუნავთ პარტიის წევრების — რესპუბლიკის მშრომელთა მოწინავე რაზმის იდეური გამოწრთობისათვის. კომუნისტის იდეური რწმენის ფორმირებაში, ჩვენი პარტიული ორგანიზაციების მთელი აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებაში დიდი როლი ეკუთვნის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ ბოლო დროს გამართულ პლენუმებს, რომლებიც მიეძღვნა ისეთ საკითხებს, როგორიც არის კომუნისტების მიერ შესრულება სკკპ წესდების მოთხოვნებისა პარტიის წევრთა მოვალეობებისა და უფლებების შესახებ; პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესება; კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლება; რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების მუშაობა სკკპ რიგებში მიღებისა და ახალგაზრდა კომუნისტების აღზრდისათვის პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით.

განამტკიცებენ რა თავიანთ რიგებს, ზრუნავენ რა იმისათვის, რომ თვითეული კომუნისტი ღირსეულად ატარებდეს ამ საპატიო წოდებას, პარტიული ორგანიზაციები ყოველი ღონისძიებით აძლიერებენ იდეურ-პოლიტიკურ მუშაობასაც მასებში. მის ახალ აღმავლობას ხელი შეუწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებმა „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი". რესპუბლიკის ყველა პარტიულმა ორგანიზაციამ ფართოდ გაშალა მუშაობა ამ დიდმნიშვნელოვანი თეორიული და პოლიტიკური დოკუმენტის პროპაგანდისა და განმარტებისათვის. იყენებენ სულ სხვადასხვა ფორმებს — თემატურ საღამოებს, მოხსენებებსა და ლექციებს, შეხვედრებს რევოლუციური ბრძოლის ვეტერანებთან, სტენდებს, გამოფენებს, კითხვა-პასუხის საღამოებს. გაზეთებმა მოამზადეს ციკლები მასალებისა, რომლებიც აშუქებენ თეზისების დებულებებს რესპუბლიკის ცხოვრებასთან, იმ კონკრეტულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ პრობლემებთან მჭიდრო კავშირში, რომლებსაც ჩვენ ვწყვეტთ. ჩვენმა რადიომ და ტელევიზიამ გამონახეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისების პროპაგანდის საინტერესო ფორმები.

თეზისებში აღნიშნულია, რომ „მშრომელთა აღზრდა მაღალი კომუნისტური შეგნებულობის სულისკვეთებით კომუნიზმზე გადასვლის დიდმნიშვნელოვანი პირობაა". ჩვენს ქვეყანაში აღზარდა ადამიანთა თაობები, რომლებსაც ღრმად სწამთ ჩვენი დიადი საქმის სიმაღლე. გამოიწრთო საბჭოთა ადამიანის — მებრძოლის, რევოლუციონერის, შეგნებული მშრომელის ხასიათი. ყოველივე ეს ხელსაყრელ პირობებს ქმნის იმისათვის, რომ გადაწყდეს ახალი, უფრო რთული ეკონომიური, სოციალური და კულტურული ამოცანები, ისეთ ადამიანთა კომუნისტური აღზრდის ამოცანები, რომლებშიც ჰარმონიულად იქნება შერწყმული მაღალი იდეურობა, შრომისმოყვარეობა და ორგანიზებულობა, სულიერი სიმდიდრე, მორალური სიწმინდე, ფიზიკური სრულყოფილება.

ადამიანთა იდეურ აღზრდაში ჩვენი წარმატებების ერთ-ერთი დადასტურებაა სოციალისტური შეჯიბრების უმაგალითო გაქანება, მის უმაღლეს საფეხურზე — კომუნისტური შრომისათვის მოძრაობაზე გადასვლა. უნდა შევნიშნოთ, რომ მასების შემოქმედებითი აქტივობა არასოდეს არ განვითარებულა ისე, როგორც განვითარდა დიდი იუბილესათვის მზადების დღეებში. მარტო თბილისში წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში მონაწილეობს დაახლოებით 260 ათასი კაცი, ხოლო კომუნისტური შრომისათვის მოძრაობაში — 115 ათასზე მეტი კაცი.

ახლა, როცა ეკონომიურმა რეფორმამ მოიცვა საწარმოთა სულ უფრო ფართო წრე, როცა სულ უფრო ძლიერდება ხალხის მატერიალური დაინტერესება თავისი შრომის შედეგებით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მატერიალური და მორალური სტიმულების სწორ შეხამებას, იმათი დამსახურების საზოგადოებრივ აღიარებას, ვინც განსაკუთრებით თავდადებით, შემოქმედებითად შრომობს კომუნისტური მშენებლობის ამა თუ იმ უბანზე, აგრეთვე დიდი მნიშვნელობა ენიჭება შეჯიბრებაში გამარჯვებულთა, კომუნისტური შრომის დამკვრელთა საყოველთაო სახალხო პატივისცემას.

მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის ახალი აღმავლობა გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1967 წლის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებმა, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს, თუ როგორ ზრუნავს კომუნისტური პარტია საბჭოთა ადამიანის, კომუნიზმის მშენებლის კეთილდღეობისათვის. ეს გადაწყვეტილებანი, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის შედეგები შეეხო თითქმის ყველა ოჯახს, მოუტანა მათ ახალი სიკეთე, ახალი სიხარული.

რესპუბლიკის მშრომელები პარტიის ზრუნვას უპასუხებენ დამკვრელური შრომით, ახალი რეზერვების გამოვლინებით. ბევრი კოლექტივი, რომლებიც სრულყოფენ ეკონომიურ მუშაობას, ავლენს ყველა შესაძლებლობას, კისრულობს ახალ,

(დასასრული მე-2 გვ.)

ვ. მ ქ ა ვ ა ნ ა ძ ე,
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

საიუბილეო ვახტაზე საბჭოთა საქართველო

საქართველოს მრეწველობამ ვადამდე შეასრულა ათი თვის გეგმა

ᲬᲐᲠᲗᲝᲚ გაშალეს რა სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის საქართველოს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა ვადამდე, 24 **ოქტომბრისათვის შეასრულეს მთლიანი პროდუქციისა და მეტწილ სახეობათა ნაწარმის გამოშვების ათი თვის გეგმა.** განსაკუთრებული წარმატებებია მიღწეული მანგანუმის მადნის, ნაგლინის, მინერალური სასუქების, შიფერის, შალისა და აბრეშუმის ქსოვილების, ტრიკოტაჟის საცვლებისა და ზედა ტრიკოტაჟის, ტყავის ფეხსაცმლის, ძეხვეულის, კარაქისა და მცენარეული ზეთის და სხვა სახეობის პროდუქციის წარმოებაში.

რესპუბლიკის საწარმოთა უმრავლესობამ წარმატებით შეასრულა საბჭოთა სახელმწიფოს იუბილეს აღსანიშნავად ნაკისრი გადიდებული ვალდებულებანი. მთავარი მაჩვენებლის — შრომის ნაყოფიერების გადიდების დავალება მნიშვნელოვანი გადაჭარბებითაა შესრულებული. **პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შედეგად მიღებულია ასეულ ათასობით მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.**

წელს მსუბუქი მრეწველობისა და კვების მრეწველობის საწარმოთა მნიშვნელოვანი ნაწილი გადავიდა დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე. ახლებურად მუშაობამ თავისი ნაყოფი გამოიღო: გაიზარდა შრომის ნაყოფიერება და მოგება, ამაღლდა წარმოების კულტურა, მატერიალურმა დაინტერესებამ გამოიწვია მუშათა და მოსამსახურეთა ახალი ენთუზიაზმი. ორ დასვენებისდღიანი სამუშაო კვირის შემოღებამ ფართო შესაძლებლობანი შექმნა წარმოების ეფექტიანობის, მუშათა საქმიანი კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლების და მუშათა რაციონალური დასვენების უზრუნველყოფისათვის.

საოქტომბრო შეჯიბრებაში ყველაზე მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს თბილისის ორჯონიკიძის სახელობის, 26 კომისრის სახელობის, პლასტმასების, ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოების, № 3 ღვინის ქარხნებმა, აგრეთვე სურამის შუშის ქარხანამ, „ჭიათურმარგანეცის" ტრესტის კალინინის სახელობის მაღარომ, თბილისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკამ და სხვებმა.

სახელმწიფო დავალებათა და საიუბილეო ვალდებულებათა ვადამდე შესრულებისათვის ავანგარდში არიან კომუნისტური შრომის კოლექტივები და დამკვრელები, წარმოების მოწინავეთა, ნოვატორთა მრავალრიცხოვანი რაზმი.

დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავი შრომითი ვახტი გრძელდება. წლის დამლევამდე რესპუბლიკის მრეწველობა გეგმის გაღ ჭარბებით გამოუშვებს მილიონობით მანეთის პროდუქციას. (საქდესი).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1967 წლის 21 ოქტომბრის დადგენილებით იმ საწარმოების, ორგანიზაციების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების კოლექტივების შრომითი წარმატებების აღსანიშნავად, რომლებმაც კომუნისტურ მშენებლობაში დიდი წვლილი შეიტანეს და საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებაში, მთელი რიგი საწარმოების, ორგანიზაციების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების კოლექტივები დაჯილდოებულ არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს სამახსოვრო დროშებით.

ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡᲐᲜ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ:

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ქ. ცხინვალის ქარხანა „ემალსადენის",

ამიერკავკასიის რკინიგზის,

ხრამის ჰიდროელექტროსადგურების № 5 კასკადის (დაბა წალკა),

№ 1 ტრესტის № 10 მოძრავი მექანიზებული კოლონის,

ფოთის № 2 წისქვილკომბინატის,

ტრესტ „ჭიათურმარგანეცის" მ. ი. კალინინის სახელობის მაღაროთსამმართველოს (ქ. ჭიათურა),

თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნის,

თბილისის რძის კომბინატის,

თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკის,

ტრესტ „წყალმშენის" (ქ. თბილისი),

საქართველოს ქვანახშირის ძიების ტრესტის (ქ. თბილისი),

„საქშახტმშენის" № 7 ტრესტის (ქ. თბილისი),

ტრესტ „ტყიბულქვანახშირის" დასავლეთი შახტის (ქ. ტყიბული),

ზუგდიდის რაიონის ინგირის ლენინის ორდენოსანი ჩაის საბჭოთა მეურნეობის,

სიღნაღის რაიონის ხირსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის,

გორის რაიონის სოფელ ფლავის კოლმეურნეობა „ჩვენი შრომის",

მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ს. ორჯონიკიძის სახელობის „საპატიო ნიშნის" ორდენოსანი კოლმეურნეობის,

წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობის,

აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის რაიონის სოფელ ბესლახუბის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობისა და

აჭარის ასსრ ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის კოლმეურნეობის კოლექტივები.

დადგენილებით გათვალისწინებულია, რომ სამახსოვრო დროშები სამუდამოდ შესანახავად რჩება ამ საწარმოებში, ორგანიზაციებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში როგორც მათი კოლექტივების შრომითი მამაცობის სიმბოლო.

* * *

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭო გამოთქვამენ გულითად მადლობას იმ საწარმოების, ორგანიზაციების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების კოლექტივებისადმი, რომლებმაც შეასრულეს თავიანთი ვალდებულებანი დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად, და მოუწოდებენ მუშებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს, მოსამსახურეებს, კოლმეურნეებს, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკებს განაგრძონ სოციალისტური შეჯიბრება წარმოების, ახალი ტექნიკის დანერგვის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის, წარმოების ეფექტურობის ამაღლებისათვის, ახალ საწარმოო სიმძლავრეთა სრულად ათვისებისათვის, აგრეთვე შრომის ნაყოფიერების ზრდის მაღალი ტემპების მიღწევისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის, ნედლეულის, სათბობისა და მასალების ეკონომიისათვის, რათა ვადამდე შეასრულონ სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა და ღირსეული შრომითი წარმატებებით შეხვდნენ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილება აწყობენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ

საიუბილეო სამეცნიერო სესიას

სესია გაიმართება 24 ოქტომბერს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის საქტო დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი, 29). დასაწყისი დილის 11 საათზე.

ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲐ ᲛᲐᲢᲧᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔ�გᲛᲐ

ᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲐᲜ რა ერთმანეთს დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის, საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ვადამდე 105,9 პროცენტით შეასრულეს მატყლის დამზადების გეგმა. გეგმით გათვალისწინებული 5;200 ტონის ნაცვლად დამზადებულია 5.508 ტონა.

გადაჭარბებით შეასრულეს გეგმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა, ბოგდანოვკის, თელავის, წითელწყაროს, საგარეჯოს, გარდაბნის, თეთრიწყაროს, თიანეთის რაიონებმა. (საქდესი).





ᲔᲡ ᲤᲝᲢᲝᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘ სხვადასხვა დროს არის გადაღებული საქართველოს იმ საწარმოებსა და საბჭოთა მეურნეობებში, რომლებიც დაჯილდოებულ იქნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრკ მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა ფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭოს სამახსოვრო დროშებით. (მარჯვნიდან მარცხნივ): 1. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის ქარხანაში დამზადებული ჟურნის გადამმუშავებელი აგრეგატები მზად არის მეურნეობებში გასაგზავნად; 2. ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო" ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პლანტაციებში; 3. თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკის მუშა, კომუნისტური შრომის დამკვრელი მ. ბეჟურაშვილი; 4. ჟურძნის კრეფა სიღნაღის რაიონის ხირსის საბჭოთა მეურნეობაში; 5. თბილისის რძის კომბინატის მუშები ც. წითლიძე და ლ. ჭიჭურიძე რძის ჩამოსხმის დროს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲔ ᲛᲝᲬᲕᲔᲕᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲔᲡᲘᲘᲡ ᲛᲝᲬᲕᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია გაიხსნება 1967 წლის 26 ოქტომბერს დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

დეპუტატების რეგისტრაცია და ცნობების გაცემა იწარმოებს ყოველდღე 9 საათიდან 20 საათამდე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, ოთახი № 4, ტელეფონი 9-58-19 და 9-56-18.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲣᲮᲣᲪᲔᲡᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომა შეიდგება 1967 წლის 26 ოქტომბერს დილის 9 საათსა და 30 წუთზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში.

იდეური რწმენის ძალა

(დასასრული)

გადიდებულ ვალდებულებებს და სახავს მათი შესრულების გზებს. განსაკუთრებით აქტიურად მიმდინარეობს ეს მუშაობა საწარმოებში, რომლებიც სახალხო მოხმარების საქონელს უშვებენ.

მშრომელთა ცხოვრების გაუმჯობესებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ჩვენს მშენებლებს. მაგალითად, დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისათვის რესპუბლიკის მშრომელებს გაახარებენ იმით, რომ საექსპლოატაციოდ გადასცემენ კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ახალ ობიექტებს, მწყობრში ჩადგება თბილისის მეტროპოლიტენის ახალი უბანი, სტუმრებს მიიღებს ახალი ოცდაორსართულიანი სასტუმრო „ივერია". შავი ზღვის სანაპიროზე, ბიჭვინთაში, აღიმართა კურორტის შვიდი მაღალი კორპუსი, რომლებიც ერთდროულად სამი ათასამდე დამსვენებელს მოემსახურება.

დიახ, საიუბილეო წელი გახდა უმაგალითო შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის წელი. ეს ასახავს ახალ სიღრმესაც, იდეოლოგიური მუშაობის ყველა ფორმის გაქანებას. აი, მაგალითად, ლექციური პროპაგანდა. მარტო საზოგადოება „ცოდნის" წევრთა ძალებით წელს საქართველოს საწარმოებსა და დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში წაკითხულია ორასი ათასამდე ლექცია. გარდა ამისა, იმართება თეორიული კონფერენციები, კითხვა-პასუხის საღამოები, საოქტომბრო კითხვა, რომლებიც საბჭოთა ქვეყნის ნახევარი საუკუნის ისტორიას ეძღვნება. დიდ მუშაობას ასრულებენ სახალხო უნივერსიტეტები, რომლებშიც სწავლობს 25 ათასზე მეტი კაცი. ორმოცი პროპაგანდისტული ჯგუფი გაიგზავნა რესპუბლიკის რაიონებში.

გაზეთის სტატიაში ყველაფერს ვერ იტყვი. მინდა მხოლოდ ხაზგასმით აღვნიშნო, რომ მომავალში უფრო სრულად უნდა განვაზოგადოთ, გამოვიყენოთ და გავავითაროთ იდეოლოგიური მუშაობის მდიდარი გამოცდილება, რომელიც ოქტომბრის 50-ე წლისთავის იუბილესათვის მზადების პერიოდში შევიძინეთ.

ორმოცდაათი წელი, თუ ჩავუფიქრდებით, — ეს არის ბევრიც და ცოტაც. ისტორიისათვის ეს დროის ძალიან მოკლე მონაკვეთია, და პირდაპირ გიკვირს, რა ბევრი რამ გაკეთდა საბჭოთა ხელისუფლების ნახევარი საუკუნის მანძილზე, რა უდიდესი ისტორიული გარდაქმნები მოხდა ჩვენს ქვეყანაში. მაგრამ ამავე დროს ორმოცდაათი წელი ადამიანის სიცოცხლის ნახევარზე მეტია. ამ წლებში გაიზარდა და დავაქკაცდა ადამიანთა არაერთი თაობა.

რევოლუციისშემდგომ პირველ წლებში იმდროინდელ ახალგაზრდობას ჯერ კიდევ ცოცხლად ახსოვდა დიდი ოქტომბრის ამბები. ბევრი ახალგაზრდა თვითონ იარაღით ხელში იბრძოდა ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ომირულად იბრძოდა სამოქალაქო ომის ფრონტებზე.

მაგრამ გადიოდა წლები, და ახალგაზრდობა ამ დროს მხოლოდ მამებისა და უფროსი ძმების ნაამბობით, წიგნებითა და ფილმებით ეცნობოდა. ახლანდელი ჩვენი ახალგაზრდა თაობისათვის კი ეს უკვე ნამდვილი ისტორიაა. გავა კიდევ წლები, და დიდი სამამულო ომის ამბებიც ისტორიის კუთვნილება გახდება, ისევე როგორც დღევანდელი ახალგაზრდობისათვის — ოქტომბრის ამბები.

ასეთია ცხოვრების ლოგიკა. ეს დაუვიწყარი მოვლენები, თუმცა ისტორიის კუთვნილება ხდება, კვლავ მკაფიოდ, მძლავრი პროექტორებივით უნათებენ მომავალ თაობებს ნათელი და მშვენიერი ცხოვრების გზას, ასწავლიან მგზნებარე იდეურობას, ბრძოლაში თავდადებასა და მამაცობას. ამიტომ არის, რომ ჩვენი პარტიული ორგანიზაციები მთელ თავიანთ აღმშრდელობითს მუშაობას ისე წარმართავენ, რომ მშრომელებმა, და უწინარეს ყოვლისა ახალგაზრდობამ, ღრმად შეიგნონ ოქტომბრის რევოლუციის მთელი სიდიადე, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა, რომ თვითეულმა გულით იგრძნოს, თუ რა ფასად არის მოპოვებული ოქტომბრის გამარჯვება, თუ რა მსხვერპლს იღებდნენ და რა გაჭირვებას განიცდიდნენ რევოლუციონერი „გმირები, რომლებსაც ვერ აშინებდა ვერც იატაკქვეშეთის სიმძიმე, ვერც გადასახლება, ვერც სამუდამო კატორღა, ვერც სამარტოო საკანში წლობით დამწყვდევა, ვერც სახრჩობელები, ვერც ხვრეტა. არავის უფლება არა აქვს დაივიწყოს, რომ ჩვენი მიწა-წყალი უხვად არის მორწყული ხალხის საუკეთესო შვილების სისხლით, რომ ცარიზმის, სამოქალაქო ომისა და სამამულო ომის წლებში მილიონობით ადამიანმა გასწირა თავი სხვათა სიცოცხლისათვის.

აღვაგზნოთ ხალხის გული გმირული წარსულის ამბებით — ნიშნავს აღვზარდოთ ისინი იმ მაღალი იდეალებისადმი ერთგულების სულისკვეთებით, რომლებისთვისაც მამა-პაპანი იბრძოდნენ.

ყურადღებით აკვირდები ჩვენს ახალგაზრდობას და კმაყოფილებით აღნიშნავ მის დაუოკებელ მისწრაფებას ამრავლებდეს და ავითარებდეს უფროსი თაობის რევოლუციურ და შრომითს ტრადიციებს.

აი თუნდაც ერთი ფაქტი მრავალთაგან. ჩვენს რესპუბლიკაში ვინ არ იცნობს ახალგაზრდა მეწაიეს ვინარი სხულუხიას? ჰიტლერელთა შიერ მხეცურად ნაწამები საბჭოთა კავშირის გმირის გრიგოლ სხულუხიას ქალიშვილი ვინარი მერგოლუერად მუშაობს ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის იმავე კოლმეურნეობაში, სადაც თავის დროზე თავმჯდომარედ იყო მამამისი, რომლის სახელსაც ატარებს ახლა კოლმეურნეობა. ვინარი ოცდაბუთი წლისაა. იგი იმ წელს დაიბადა, როცა მამა ფრონტზე წავიდა მოხალისედ. წავიდა და აღარ დაბრუნებულა. და ახლა, როცა სოფლის ცენტრში, კომუნისტ გრიგოლ სხულუხიას ძეგლს ჩაუვლის ხოლმე, ვინარი ყოველთვის შეჩერდება მასთან და ისევ და ისევ პირობას აძლევს თავის თავს, რომ იქნება ისეთი, როგორიც მამამისი იყო, ღირსეულად ატარებს მის სახელს. კომკავშირელი პირნათლად ასრულებს სიტყვას: მისთვის მიჩენილ ნაკვეთში ჩაის ფოთლის რეკორდულ მოსავალს კრეფს. შარშან მას მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება. იგი მუშაობს დედამისის ქვეთევან სხულუხიას ბრიგადაში. ქვეთევანიც იმავე წელს შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოდეს.

ჩვენი პარტია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა და ანიჭებს იდეოლოგიურ მუშაობას. ჩვენ მუდამ გვეხსომება, რომ თანამედროვე პირობებში იდეოლოგიური მუშაობა მიმდინარეობს საბჭოთა ადამიანების საზოგადოებრივ-პოლიტიკური და შრომითი აქტივობის შემდგომი გაძლიერებისა და გაღრმავების ვითარებაში, საერთაშორისო ასპარეზზე დაძაბული კლასობრივი ბრძოლის ვითარებაში. მისი ძირითადი ამოცანები ნათელია, ისინი განსაზღვრულია პარტიის პროგრამით, სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებით. ეს ამოცანები უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ ვავითარებდეთ პოლიტიკურ შეგნებულობასა და კომუნისტურ დამოკიდებულებას შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი, მშრომელებს, ახალგაზრდობას ვზრდიდეთ საბჭოთა პატრიოტიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით, ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი შეურიგებლობის, სოციალიზმის მონაპოვართა დასაცავად მზადყოფნის სულისკვეთებით.

პარტია პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებს კომუნისტების, განსაკუთრებით ხელმძღვანელი კადრების მარქსისტულ-ლენინურ განათლებას, მოსახლეობაში იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას, სრულყოფს პარტიული განათლების სისტემას. ამ უკანასკნელ ხანს ბევრი რამ კეთდება აგრეთვე იმისათვის, რომ ავამაღლოთ პოლიტიკური ინფორმაციის ოპერატიულობა, კიდევ უფრო განვამტკიცოთ პროპაგანდის კავშირი ცხოვრებასთან, გავაღრმაოთ მისი თეორიული შინაარსი.

ცნობილია, რომ საბჭოთა ადამიანების იდეური რწმენის განმტკიცებაში დიდი როლი ეკუთვნით ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებს. ჩვენ გულწრფელად გაგვახარა ამ დღეებში გამართულ ახალგაზრდა შემოქმედებითი ინტელიგენციის რესპუბლიკურ შეკრებაზე გამოთქმულმა აზრებმა და გრძნობებმა. შეკრებამ ცხადყო ჩვენი ინტელიგენციის მაღალი იდეური სიმტკიცე და მხატვრული სიმწიფე. საიუბილეო წელს კულტურის მოღვაწეებმა შემოქმედების ახალ მწვერვალებს მიაღწიეს, გაახარეს საბჭოთა ადამიანები ღრმა იდეური, მაღალმხატვრული, ნამდვილი პარტიულობითა და ხალხურობით გამსჭვალული ნაწარმოებებით. მათი მთავარი გმირი ჩვენი თანამედროვე, კომუნიზმის მშენებელი, მშრომელი ადამიანია, რომელიც ნათელი მომავლის გზას გვიკაფავს.

ამასთან დაკავშირებით მინდა აღვნიშნო დიდი აღმზრდელობითი და ესთეტიკური მნიშვნელობა საიუბილეო რესპუბლიკური სამხატვრო გამოფენისა, რომელიც თბილისში გაიხსნა. გამოფენაში მონაწილეობა მიიღო ყველა თაობის 250-ზე მეტმა ფერმწერმა, მოქანდაკემ, გრაფიკოსმა. მტკიცედ შეგვიძლია ვთქვათ, რომ გამოფენა მოწმობს ჩვენი მხატვრების ახალ შემოქმედებითს აღმავლობას.

სახელოვანი რევოლუციური წარსულისა და დღევანდელი სოციალისტური აწმყოსადმი მიძღვნილი ახალი სპექტაკლები და კინოფილმები შექმნეს საიუბილეო წელს თეატრისა და კინოს მუშაკებმა. დღესასწაულისათვის ჩინებული საჩუქრები მოამზადეს ქართველმა მწერლებმა — გამოვიდა საუკეთესო პოეტების, პროზაიკოსების, დრამატურგების, კრიტიკოსების რჩეულ ნაწარმოებთა სერია. ეჭვი არ არის, რომ ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციის კვლავაც შექმნის ნაწარმოებებს, რომლებიც ნიჭიერად გვიჩვენებენ ხალხის სიდიადესა და მის სულიერ სილამაზეს, მის მაღალ მორალურ თვისებებს, მთელი ძალღონით დაეხმარება პარტიას მშრომელთა აღზრდაში კომუნიზმის იდეებისადმი ერთგულების სულისკვეთებით.

შეიქმნება, რა თქმა უნდა, ახალი წიგნები, ფილმები, სპექტაკლები, რომლებიც წარმატებითი წინსვლის შემაფერხებელ ნაკლოვანებებსაც გამოავლინებენ. მაგრამ, წარსულის ყოველგვარ გადმონაშთებს რომ ვამათრახებთ, კი არ უნდა გვიხაროდეს, კი არ უნდა ვტკბებოდეთ შავი ლაქებით. შეუწყნარებელია განზოგადების დონემდე აგვყავდეს ცალკეული მანკიერებანი, და რაც მთავარია — არ უნდა დავკარგოთ სიყვარული ადამიანებისადმი, უნდა [illegible] ადამიანთა ულიერი სილამაზე, [illegible] ჩვენი ადამიანები [illegible] ყველა სიძნელე თავიანთ [illegible] — [illegible] ყოს გამსჭვალული საბჭოთა ხელოვანის ნაწარმოებები.

ჩვენ ადამიანებს განვუმტკიცებთ რწმენას, რომ ხვალინდელი დღე კიდევ უფრო ნათელი და მშვენიერი იქნება, ვიდრე დღევანდელი. კრიტიკაც უნდა გვეხმარებოდეს ამაში, იგი კი არ უნდა ადუნებდეს, არამედ ზრდიდეს ადამიანებს, რაზმავდეს მათ შეცდომების გამოსასწორებლად, ახალ წარმატებათა მისაღწევად. სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებში აღნიშნულია მაღალი დანიშნულება სოციალისტური რეალიზმის ხელოვნებისა, რომლის განმასხვავებელი ნიშნებია ღრმა ხალხურობა და კომუნისტური პარტიულობა, აღნიშნულია მოწოდება ჩვენი ხელოვნებისა, რომლისთვისაც დამახასიათებელია მაღალი იდეური მომხსოვნელობა, შეურიგებლობა ყოველივე იმისადმი, რაც ხელს უშლის საბჭოთა ხალხს კომუნიზმის მშენებლობაში.

მთელი ჩვენი მასობრივ-პოლიტიკური და ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობა, ჩვენი იდეოლოგიური ფრონტის მთელი ძალები, ყველა რაზმი, ჩვენი ყოველგვარი იდეური იარაღი მიმართულია საბჭოთა ადამიანების ღრმა იდეური რწმენის განმტკიცებისათვის, რესპუბლიკის მშრომელთა კიდევ უფრო შეკავშირებისათვის ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო. ეჭვი არ არის, რომ ოქტომბრის ნახევარი საუკუნის იუბილე კომუნისტურ მშენებლობაში ჩვენი სამშობლოს მომავალ ბეშმარიტად კოსმოსურ წარმატებათა სასტარტო მოედანი იქნება.

ოქტომბრის 50 წლისთავი მარქსიზმ-ლენინიზმის, მშრომელთა დიადი იდეალების, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის იდეების გამარჯვების დღესასწაულია. კიდევ უფრო დიდი შთაგონებით გავავრცელებთ მასებში დიდი ოქტომბრის იდეებს, რათა დავრაზმოთ მშრომელები ახალი გმირული მიღწევებისათვის ქვეყნად ყველაზე ბედნიერი საზოგადოების მშენებლობაში.

დღეს, სახელოვანი იუბილეს წინ, ყველა საბჭოთა ადამიანი სიამაყით ეუბნება მსოფლიოს — ისევე, როგორც ოდესღაც თქვა ჩვენი პირველი ჰიდროსადგურის მშენებელმა:

— ჩვენ კომუნიზმს ვაშენებთ!

„პრავდა" 23/X.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება დამსახურებისათვის საბჭოთა სამშობლოს დაცვის საქმეში და მაღალი მაჩვენებლებისათვის საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ჯარის შენაერთების, ნაწილებისა და სამხედრო სასწავლებლების დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სამახსოვრო დროშებით დაჯილდოების შესახებ.

□ □

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფის მუშაობის ორგანიზაციაში მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1967 წლის 23 ოქტომბრის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოდა სოციალური უზრუნველყოფის ორგანოთა და დაწესებულებათა მუშაკების დიდი ჯგუფი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 6 კაცი, შრომის წითელი დროშის ორდენით — 85, „სპატიო ნიშნის" ორდენით — 383, მედლით „შრომითი მამაცობისათვის" — 319 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის" — 307 კაცი.

□ □

ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის თეატრის გასტროლები

გასულ კვირას შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის შენობაში დედაქალაქის სცენის სტუმრებმა პირველ ღღეს წარმოადგინეს ა. სამსონიას პიესა „ზღვა და სიყვარული", რომელიც დადგა მთავარმა რეჟისორმა თ. აბაშიძემ (სპექტაკლის მხატვრები — ა. ფილიპოვი და მ. მამუკაძე, კომპოზიტორი — გ. ყანჩელი).

სპექტაკლში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტები ნ. თუთრაძე, მ. ხინიკაძე, ა. მგელაძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები მ. გეჯაძე, გ. ინსაროვი, ლ. ლონტი, ლ. ყარასაშვილი, ნ. საკანდელიძე და სხვები.

სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ბათუმელ სტუმრებს მიესალმა საქართველოს თეატრალური საზოგადოების მდივანი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ფ. ჩხეიძე. ბათუმის თეატრალური კოლექტივის სახელით სიტყვა წარმოთქვა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა მ. ხინიკაძემ, რომელმაც მადლობა გადაიხადა გულთბილი მიღებისათვის.

სპექტაკლს დაესწრნენ ვ. მუსაევაძე, რ. ფრუშიძე, დ. სტურუა, შ. ბანუყვაძე.

ბათუმის თეატრი თბილისში 29 ოქტომბრამდე დარჩება, შემდეგ კი კახეთის რაიონებში გაემგზავრება. (საქდესი).

დროშა ორდენმა დაამშვენა

ახალციხე. აწყურის მერძევეობა-მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მებაღეებსა და მეცხოველეებს ეს დღე დიდხანს დაახსოვდებათ როგორც სასიხარულო და საზეიმო დღე. საბჭოთა მეურნეობის კოლექტივს გადაეცა შრომის წითელი დროშის ორდენი.

მეზობელი რაიონებიდან ჩამოსული სტუმრები, დელეგაცია საგარეჯოს მერძევეობა-მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობისა, რომელიც აწყურელებს ეჯიბრება, მეურნეობის მუშა-მოსამსახურენი შეეკრებნენ საბჭოთა მეურნეობის სტადიონის ტრიბუნაზე.

საბჭოთა მეურნეობის კოლექტივს მაღალი ჯილდო მიეფიცა და კრება გახსნა პარტიის ახალციხის რაიკომის პირველმა მდივანმა შ. გრძელიშვილმა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ბ. ლელაშვილმა წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება შრომის წითელი დროშის ორდენით აწყურის მერძევეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის დაჯილდოების შესახებ. შემდეგ მან კოლექტივს მხურვალედ მიეფიცა მაღალი ჯილდო და ორდენი მიაბნია საბჭოთა მეურნეობის ალაფერ დროშას.

საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ნ. სარჯველაძემ, მიიღო რა ორდენით დამშვენებული დროშა, მადლობა გადაუხადა პარტიასა და მთავრობას ესოდენ დიდი პატივისათვის.

აწყურელთა სახელოვან კოლექტივს მიეფიცა ახალციხის მაღაროსამმართველოს № 1 შახტის გვირაბგამყვანთა ბრიგადირმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ა. ჯგარიძემ, ახალციხის სკოლა-ინტერნატის მასწავლებელმა პოეტმა ი. ნებაძემ, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მებოსტნეობა-მეგრძელეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მმართველმა ბ. სოხაძემ. მშობლიური საბჭოთა მეურნეობის მიღწევების გამო სიამაყით იყო გამსჭვალული მექანიზატორ დ. დემეტრაძისა და მწველავ გ. თაბაგარის სიტყვები. (საქდესი).

საბჭოთა ხალხს ულოცავენ

„ინგლისური დაკვადების" მსხვერპლნი

ლონდონი, 23 ოქტომბერი. საკდესის კორესპონდენტი ნ. ტურკატენკო გვატყობინებს:

სამი ათასამდე კაცი შეიკრიბა გუშინ ლონდონის „ალბერტ-ჰოლის" დარბაზში საზეიმო სხდომასა და კონცერტზე, რომელიც ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებამ მოაწყო საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავის აღსანიშნავად.

აქ იმისათვის მოვედით, რომ სულითა და გულით მივულოცოთ საბჭოთა ხალხს ეს ღირსშესანიშნავი წლისთავი, — ამ სიტყვებით მიმართა დამსწრეთ ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარემ ლ. ბრედშოუმ.

აღნიშნა რა საბჭოთა ხალხის მიღწევები განვლილი ნახევარი საუკუნის მანძილზე, ლ. ბრედშოუმ ხაზი გაუსვა, რომ ეს მიღწევები, მიუხედავად მთელი სიძნელეებისა და მსხვერპლისა მიღწეულია ასეთ მოკლე ისტორიულ ვადაში.

საბჭოთა ხალხს მხურვალედ მიეფიცა ოქტომბრის 50 წლისთავი დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ჯონ გოლანმა, რომელმაც აღნიშნა, რომ „ალბერტ-ჰოლში" მოვიდნენ დიდი ბრიტანეთის ყველა პოლიტიკური დაჯგუფების წარმომადგენლები.

სხდომაზე წაიკითხეს საბჭოთა კავშირის ხაზვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობის საზოგადოებათა კავშირის წერილი. შეკრებილთა წინაშე გამოვიდა სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი ვ. თ. ბიკოვსკი, რომელიც აქ იმყოფება ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების მიწვევით. ბიკოვსკის მქუხარე ტაშით შეხვდნენ კრების მონაწილენი.

სიტყვა წარმოთქვა აგრეთვე სსრ კავშირის ელჩმა დიდ ბრიტანეთში ბ. ნ. სმირნოვსკიმ.

ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საინტერესო პროგრამით გამოვიდნენ საზეიმო კრების მონაწილეთა წინაშე პროგრესული თეატრის „იუნიტის" მსახიობები. სპეციალურად ამ წლისთავისათვის თეატრის კოლექტივმა მოამზადა ლიტერატურული კომპოზიცია „ოქტომბრის 50 წელი ინგლისელის თვალით", რომელშიც ასახულია მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს სწრაფი პროგრესი, მისი პრესტიჟის ზრდა მსოფლიო ასპარეზზე, საბჭოთა კავშირისა და ინგლისის მშრომელთა სოლიდარობა.

საზეიმო კრების შემდეგ გაიმართა კონცერტი საბჭოთა მსახიობების მონაწილეობით.

ლონდონი, 23 ოქტომბერი. (საკდესი). ყოველწლიურად 30.000 ინგლისელი იხოცება ბრონქიტით, რომელსაც „ინგლისური დაავადებას" უწოდებენ.

ამ დაავადების ფართოდ გავრცელება მარტო ბრიტანეთის კუნძულების ბავის ბრალი როდია. სამრეწველო საწარმოების მიერ ჰაერის გაბუნძურებებს, ცუდ სანიაო პირობებს, სინესტესა და მეტწილ სახლებში ცენტრალური გათბობის უქონლობას თავიანთი საბედისწერო წილი შეიტანეს ამ დაავადების გავრცელებაში. საგულისხმოა, რომ ყველაზე ნაკლებად უზრუნველყოფილ არაკვალიფიციურ მუშებს შორის ბრონქიტით იხოცება ხუთჯერ მეტი ხალხი, ვიდრე გათვალისწინებულია „საერთო ეროვნული ნორმით".

ინტერვენტთა ახალი რაზმი

ნიუ-იორკი, 23 ოქტომბერი. (საკდესი). ოკეანისგაღმელი ინტერვენტთა ახალი რაზმი — 3.600 ჯარისკაცი გადასხეს სამხრეთ ვიეტნამის ნაპირზე. ეს რაზმი, რომელიც შედის ქვეითი ჯარის 198-ე ბრიგადის შემადგენლობაში, შეუერთდება ამას წინათ შექმნილ ამერიკულ დივიზიას, რომელიც, როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი გვატყობინებს, მძიმე ბრძოლებს აწარმოებს სამხრეთ ვიეტნამის ჩრდილოეთ პროვინციებში.

ბრიგადა მიმდინარე წლის მაისში შეიქმნა. იგი გაწვრთნეს „ფორტ ჰუდის" (ტეხასის შტატი) სამხედრო ბანაკში.

ნიქსონი აპირებს კენჭი იყაროს პრეზიდენტობაზე

ნიუ-იორკი, 23 ოქტომბერი. (საკდესი). რიჩარდ ნიქსონი აპირებს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის 1968 წლის არჩევნებში დასახელოს თავისი კანდიდატურა რესპუბლიკური პარტიისაგან. იგი თავის კანდიდატურას დასახელებს იანვრის შუა რიცხვებში, აცნობებს ასოშიეიტედ პრეს კორესპონდენტს ნიქსონის თანაშემწეებმა.

მტკიცე პროტესტი

კანო, 23 ოქტომბერი. (საკდესი). ვიეტნამის სანინფორმაციო სააგენტო იუწყება, რომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა გამოაქვეყნა განცხადება. განცხადებაში გამოთქმულია მტკიცე პროტესტი იმასთან დაკავშირებით, რომ ტაილანდის ხელისუფალნი საიგონის ხელისუფლებასთან შეთანხმებით ცდილობენ ძალადურად დაიბრუნონ ტაილანდში დამკვიდრებული ვიეტნამელი მცხოვრებლები სამხრეთ ვიეტნამის იმ რაიონებში, რომლებსაც კონტროლს უწევს საიგონის რეჟიმი.

ამ ბოლო დროს, ნაცვლადამია განცხადებში, ტაილანდელი ხელისუფალნი ახორციელებენ რეპრესიულ ღონისძიებებს ვიეტნამელი მცხოვრებლების წინააღმდეგ უდონისა და ნონკაის პროვინციებში და ცდილობენ ძალადურად დაიბრუნონ ისინი სამხრეთ ვიეტნამში.

ქართული თეატრი რუმინეთში

ბუქარესტი, 22 ოქტომბერი. (საკდესი). თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივმა, რომელიც საგასტროლოდ არის რუმინეთში, 21 ოქტომბერს ტირგუ-მურეშის კულტურის სასახლის დიდ დარბაზში გამართა უკანასკნელი სპექტაკლი. როგორც აკერპრესის საგენტო გვატყობინებს, სპექტაკლის პროგრამაში იყო ნაწარმოებები თეატრის რეპერტუარიდან საერთო სახელწოდებით „თერთმეტი სცენა". რუმინეთში საგასტროლო მოგზაურობის დროს ქართველმა მსახიობებმა წარმოადგინეს ნაწყვეტები ქართული და მსოფლიო დრამატურგიის ნაწარმოებებიდან.

მაყურებლები ყველგან გულთბილად ხვდებოდნენ ქართველ მსახიობებს.

მართლაც ცირკია...

ტოკიო, 23 ოქტომბერი. (საკდესი). იაპონიაში მიმდინარეობს პეკინის ცირკის გასტროლები. როგორც პრესა იუწყება, ყოველი საცირკო ნომრის გამოცხადების წინ ქალიშვილი, რომელსაც უკეთია ხუნვეიბინთა სამკლაური და ცალ ხელში უჭირავს მაო ძე-დუნის ციტატების კრებული, გაიძახის: „უდიდესი ბელადი მაო ძე-დუნი გვასწავლის..." და შემდეგ ამბობს მაოს ციტატს. თითოეული ნომრის შემდეგ იგი კვლავ აცხადებს: „მსოფლიოში უდიდესი ბელადის მაო ძე-დუნის ხელმძღვანელობით ირაზმებიან მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხალხები".

მართლაც რომ ცირკია...

წყალდიდობა ირანში

თეირანი, 23 ოქტომბერი. (საკდესი). ირანის ჩრდილოეთით გორგანის პროვინციაში კოკისპირულმა წვიმებმა პროვინციის ცენტრში — ქალაქ გორგანსა და მის გარეუბნებში გამოიწვია ძლიერი წყალდიდობა. წყალდიდობის შედეგად ქალაქში შეწყდა ტრანსპორტის მოძრაობა, შეწყვეტა სარკინიგზო და საგზატკეცილო მიმოსვლა თეირანთან, საცხოვრებელი სახლების უმრავლესობა სერიოზულად დაზიანდა.

წითელი ლომისა და მზის საზოგადოება ახორციელებს ღონისძიებებს უსახლკაროდ დარჩენილთა დასახმარებლად. პროვინციაში კოკისპირული წვიმები გრძელდება. სრული ცნობები ზარალის შესახებ ჯერ-ჯერობით არ გვაქვს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პარტიულ მუშაკთა დელეგაცია კუბაში

ჰავანა, 22 ოქტომბერი. (საკდესი). კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ოსვალდო დორტიკოს ტორადომ გუშინ საღამოს რევოლუციის სასახლეში მიიღო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პარტიულ მუშაკთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ბ. როდიონოვი. დელეგაცია თავისუფლების კუნძულზე ჩამოვიდა კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით. პრეზიდენტსა და დელეგაციის წევრებს შორის გაიმართა მეგობრული საუბარი. საუბარს ესწრებოდა სსრ კავშირის დროებითი საქმეთა რწმუნებული კუბაში ი. ლებედევი.

ჰავანა, 23 ოქტომბერი. (საკდესი). კუბაში მყოფმა სკკპ პარტიულ მუშაკთა დელეგაციამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის ბ. როდიონოვის მეთაურობით დაამთავრა კუბაში მოგზაურობა.

11 დღის განმავლობაში იგი ეცნობოდა პარტიული მშენებლობის მიმდინარეობას ჰავანის, ლას-ვილიასისა და მატანსასის პროვინციებში, ჰქონდა შეხვედრები კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოში.

დელეგაცია იყო კუბის მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან სასოფლო-სამეურნეო რაიონებში, სადაც წარმატებით ხორციელდება მეცხოველეობის განვითარებისა და ციტრუსოვანთა, ყავის, ბანანისა და ბოსტნეულის წარმოების გადიდების გეგმები, კერძოდ ჰავანის რაიონსა და ესკამბრაის მთებში, ქალაქებში სანტა-კლარასა და სიენფუეგოსში და ჰავანის პროვინციაში საბჭოთა სტუმრებმა დაათვალიერეს ზოგიერთი ამ ცოტა ხნის წინათ ამოშავებული სამრეწველო საწარმო.

საინტერესო საუბრები განათლების საკითხებზე გაიმართა მასწავლებელთა კადრების მოსამზადებელ სასწავლო ცენტრში, ტოპეს-დე-კოლიანტესში.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. პ. ვ. ამირანაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა მოსაზღვრე ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის, დაბადების სამოცი წლისთან დაკავშირებით თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ლენინის ორდენის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტი ამხ. პეტრე ვარლამის-ძე **ამირანაშვილი** დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ქორდანია

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაშაძე.

თბილისი,
1967 წლის 23 ოქტომბერი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ს. ა. სილაგაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უფროსი რეფერენტი ამხ. სერგო ამბროსის-ძე **სილაგაძე** დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდი

საბჭოთა საპლანეტათშორისო სადგური „ვენერა-4“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეიმპელები საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის გერბით, რომლებიც დაყენებულია სადგურ „ვენერა-4“-ის ბორტზე. ზემოთ — წინა მხარე, ქვემოთ — უკანა მხარე.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელოვანი წლისთავის წინა დღეები და კოსმოსური კვლევის ერის 10 წლისთავი აღინიშნა საბჭოთა მეცნიერების და ტექნიკის ახალი წინააღმდეგობრივი გამარჯვებით. ავტომატური საპლანეტათშორისო სადგური „ვენერა-4“ ნელ-ნელა დაეშვა პლანეტა ვენერას ზედაპირზე, რომელიც მზის სისტემის პლანეტებს შორის ყველაზე ახლოა დედამიწასთან, და განახორციელა ფართო კომპლექსური მეცნიერიული კვლევა ფრენის ტრასაზე, პლანეტის მახლობელ სივრცესა და პლანეტის ატმოსფეროში.

ამასთან, მზისაგან დაშორებითა ატმოსფეროს განფენილობით ვენერა სხვა პლანეტებზე უფრო ჰგავს დედამიწას. იგი მზის გარშემო ბრუნავს 108 მილიონი კილომეტრის დაშორებით და მზის ირგლულ გარშემოვლას უნდება 225 ერიერ დღე-ღამეს, ამასთან მისი ბიტა ძალიან უახლოვდება ბეს. მზის გარშემო ვენერას დედამიწის მოძრაობის პროცესში მათ შორის მანძილი იცვლება 40-დან 260 მილიონ კილომეტრამდე. ასეთ მანძილზე ოპტიკური ტელესკოპების საშუალებით შეიძლება დავინახოთ დეტალები, რომელთა ზომა რამდენიმე ასეული კილომეტრია. მაგრამ ამ ნაცადი მეთოდების გამოყენება შეუძლებელია ვენერას შესწავლის დროს, ვინაიდან ამ პლანეტას ყოველთვის გარშემორტყმული აქვს მკვრივი ღრუბლის საფარი. ამიტომაც არის, რომ დღემდე მეცნიერებას არ ჰქონია სარწმუნო ცნობები ამ პლანეტის ფიზიკური პირობების, ადგილი მისი ატმოსფეროს შესახებ.

I. ავტომატური საპლანეტათშორისო სადგური „ვენერა-4“

ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურ „ვენერა-4-ის მთავარი სამეცნიერო ამოცანა იყო ვენერის ატმოსფეროს ძირითადი ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლები. გარდა ამისა განხორციელდა მეცნიერულ გამოკვლევათა ფართო კომპლექსი ვენერის ტრასაზე.

სადგური იწონის 1106 კილოგრამს და შედგება ორბიტული ნაკვეთურისა და დასაშვები აპარატისგან.

ორბიტული ნაკვეთური

ორბიტული ნაკვეთური ცილინდრული ფორმის ჰერმეტული კორპუსია, რომელსაც ელიფსური ფსკერი აქვს. კორპუსში განლაგებულია რადიოკომპლექსის, ასტროორიენტაციის სისტემისა და სამეცნიერო აპარატურის ელექტრონული ხელსაწყოები. აქვეა თერმორეგულირების სისტემის ავტომატიკის ბლოკები, დენის ქიმიური წყაროები, რომლებიც დამატებით იმუხტება მზის ბატარეებით და მართვის სისტემა.

ორბიტული ნაკვეთურის კორპუსზე მაგრდება დასაშვები აპარატი, მაკორექტირებელი ძრავის დანადგარი, ოპტიკური გადაჭოლები და ასტროორიენტაციის სისტემის შემსრულებელი ორგანოები, მზის ბატარეების გასაშლელი პანელები, სამეცნიერო ხელსაწყოთა ანტენები და გადამწოდები.

ფრენის ტრაექტორიის კორექციისათვის, რათა უზრუნველყოს პლანეტაზე მოხვედრა, სადგურზე არის თხევად-რეაქტიული ძრავის დანადგარი, რომელიც გათვალისწინებულია ორი კორექციისათვის. სადგურ „ვენერა-4“-ის ფრენის დროს პირველი კორექციის სიზუსტე საკმარისი იყო, ისე რომ მეორე საჭირო აღარ გახდა.

დასაშვები აპარატი

დასაშვებ აპარატს, რომელიც განკუთვნილია ვენერას ატმოსფეროში კომპლექსურ მეცნიერიულ კვლევისათვის, აქვს ფორმა, რომელიც 1.000 მილიმეტრი დიამეტრის სფეროს უახლოვდება. აპარატი იწონის 383 კილოგრამს. ცნობილია, თუ რა სიძნელეების გადალახვა მოგვიხდა იმ აპარატების გასაშვებად, რომლებიც პირველი კოსმოსური სიჩქარით მოძრაობენ დედამიწის ატმოსფეროში. რომლის მახასიათებლები კარგადაა შესწავლილი. ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენად უფრო სერიოზული და რთული იყო სადგურ „ვენერა-4“-ის დასაშვები აპარატის შექმნა, რომელიც უნდა შესულიყო ჩვენთვის უცნობი ვენერას ატმოსფეროში არა პირველი, არამედ მეორე კოსმოსური სიჩქარით.

ატმოსფეროში შესვლა მეორე კოსმოსური სიჩქარით და კოსმოსური აპარატის წარმატებით დამუხრუჭება პირველად განხორციელდა მსოფლიო ტექნიკაში. ასეთი დიაპაზონი 50 გამა (5X10—4 ერსტედი) და გრძნობიერება— 2 გამა, კოსმოსური სხივების ნაწილაკთა მრიცხველები, წყალბადისა და უანგბადის ნაწილაკების მიერ გაფანტული მზის ულტრაიისფერი გამოსხივების ინდიკატორი პლანეტის მახლობელ სივრცეში ამ გაზების რეგისტრაციისათვის, დამუხტული ნაწილაკების დამჭერები პლანეტის მახლობელი პლაზმის (იონოსფეროს) შესწავლისათვის.

ეს ხელსაწყოები გაზომვებს აწარმოებდნენ ფრენის მთელ ტრასაზე იმ მომენტამდე, სანამ ორბიტული ნაკვეთური ვენერას ატმოსფეროს ზედა ფენებში შეავიდოდა და შეწყვეტდა მუშაობას. ჰელიოცენტრული ორბიტით ფრენის დროს მიღებულმა გაზომვებმა დადასტურეს წინანდელ საპლანეტათშორისო ფრენების მეცნიერული მონაცემები. ამასთანავე სადგურ „ვენერა-4“-ის ფრენის დროს განხორციელებულმა გაზომვებმა გვიჩვენეს, რომ 1967 წელს მზის კოსმოსური სხივების აფეთქებათა ინტენსივობა ასჯერ გაიზარდა 1964-1965 წლებთან შედარებით. ეს უკავშირდება მზის აქტივობის გადიდებას. მოსალოდნელია, რომ მზის მაქსიმუმი აქტივობის დროს, რომელიც 1969 წელს უნდა იყოს, კიდევ უფრო დიდი იქნება მზის კოსმოსური სხივების აფეთქებათა ინტენსივობა.

ტრაექტორიის პლანეტის მაახლესენელ უბანზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მაღალ ენერგიათა კოსმოსური ნაწილაკების ნაკადი არ შეცვლილა, სანამ სადგური ვენერას ზედაპირს 5 ათას კილომეტრამდე არ მიუახლოვდა და იმდენივე იყო, რამდენიც პლანეტიდან შორს ყოფნის დროს. ვენერასთან შემდგომი დაახლოებისას ნაკადი მცირდებოდა იმის გამო, რომ პლანეტა ნთქავდა კოსმოსურ სხივებს. ასეთი შედეგი გვიჩვენებს, რომ ვენერას არა აქვს დედამიწის მსგავსი რადიაციული სარტყლები.

სადგურ „ვენერა-4“-ის ერთ-ერთი ამოცანა იყო ვენერას მაგნიტური ველის გამოკვლევა. 1964 წელს ამერიკის სადგურ „მარინერ-2“-ის ვენერასაკენ ფრენის დროს დადგინდა, რომ ვენერას დიპოლური მაგნიტური ველი არ აღემატება დედამიწის მაგნიტური ველის მეათედს. ტრაექტორიაზე, აგრეთვე ვენერას ზედაპირიდან რამდენიმე ასეული კილომეტრზე სადგურ „ვენერა-4“-ის გაზომვების შედეგების წინასწარი ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ვენერას არა აქვს მაგნიტური ველი, რომლის დიპოლური მომენტი შეადგენდეს დედამიწის დიპოლური მაგნიტური ველის სამ მეათიათასედზე მეტს. ამ შედეგმა არსებითად დაუზუსტა „მარინერ-2“-ის მიერ მიღებული მონაცემები; იგი განსაკუთრებით საინტერესოა იმასთან დაკავშირებით, რომ ციური სხეულებისაკენ კოსმოსური აპარატების გაფრენამდე გაბატონებული იყო ისეთი წარმოდგენა, თითქოს მზის სისტემის ყველა პლანეტას დედამიწისნაირი მაგნიტური ველები ჰქონდეთ.

ექსპერიმენტალური მონაცემების მომავალი დეტალური ანალიზი საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო დავაზუსტოთ ეს სიდიდენი და, ამას გარდა, გამოვარკვიოთ, ახდენს თუ არა პლანეტა შემაშფოთებელ მოქმედებას საპლანეტათშორისო სივრცის მაგნიტურ ველზე.

დამუხტული ნაწილაკების დამჭერებით ექსპერიმენტების შედეგების წინასწარმა განხილვამ გვიჩვენა, რომ ვენერას ზედა ატმოსფერულ გამოკვლეულ ფენაში (100 კილომეტრზე მეტ სიმაღლეზე) დამუხტული ნაწილაკების კონცენტრაცია არ აღემატება 1.000 ნაწილაკს კუბიურ სანტიმეტრში, ესე იგი ორჯერ მაინც ნაკლებია დედამიწის იონოსფეროში დამუხტული ნაწილაკების მაქსიმალურ კონცენტრაციაზე. ვენერას იონოსფეროს საკითხი არაერთხელ განხილულა უკანასკნელი წლების მანძილზე, ამასთან მთელ რიგ ავტორებს მიაჩნდათ, რომ ვენერას ზედა ატმოსფეროში დამუხტული ნაწილაკების კონცენტრაცია რამდენჯერმე აღემატება კონცენტრაციას დედამიწის იონოსფეროში. „ვენერა-4“-ით წარმოებულმა გაზომვებმა გვიჩვენეს, რომ სინამდვილეში საწინააღმდეგო შეფარდებაა.

საპლანეტათშორისო სივრცეში და ვენერას ატმოსფეროში წყალბადისა და უანგბადის ნაწილაკების მიერ მზის გაფანტული ულტრაიისფერი გამოსხივების სარეგისტრაციო აპარატურამ აღმოაჩინა ნეიტრალური წყალბადი, როცა პლანეტის ზედაპირს დაახლოებით 10.000 კილომეტრით მიუახლოვდა. გაზომვებმა გვიჩვენეს, რომ ვენერას წყალბადის გვირგვინი შეიცავს დაახლოებით ათასჯერ ნაკლებ წყალბადს, ვიდრე დედამიწის ატმოსფეროს ზედა ნაწილი. წყალბადის გვირგვინის არსებობა იმით აიხსნება, რომ წყალბადი ვენერას ატმოსფეროში, ისევე როგორც დედამიწის ატმოსფეროში, მიდის საპლანეტათშორისო სივრცეში და ქმნის წაგრძელებულ გარსს. რაც შეეხება ატომარულ უანგბადს, იგი არ აღმოჩნდა ორბიტული ნაკვეთურის ატმოსფეროში შესვლის მთელ მანძილზე. მაშასადამე, უანგბადის რაოდენობა 200 კილომეტრზე მეტ სიმაღლეზე ას მილიონჯერ ნაკლებია, ვიდრე დედამიწის ატმოსფეროს შესაბამის სიმაღლეზე.

დასაშვებ აპარატში იყო შემდეგი ხელსაწყოები ვენერას ატმოსფეროს მკვრივი ფენების კვლევისათვის: წინაღობის ორი თერმომეტრი, ბარომეტრული გადამწოდი, ატმოსფეროს სიმკვრივის გაზომვი (სიმკვრივისგამზომი), გაზანალიზატორის 11 ჯაჭვი.

ამ ხელსაწყოების საშუალებით მივიღეთ პირველად უშუალო გაზომილი მონაცემები ვენერას ატმოსფეროს ტემპერატურის, წნევისა და ქიმიური შედგენილობის შესახებ.

ვენერაზე ატმოსფეროს არსებობა 1761 წელს დაამტკიცა მ. ჯ. ლომონოსოვმა. შემდეგ სპექტროსკოპიული მეთოდებით დადგენეს, რომ ვენერას ატმოსფეროში მნიშვნელოვანი რაოდენობით შეიცავს ნახშირორჟანგს, მაგრამ მისი შეფარდებითი შემცველობა, აგრეთვე ვენერას ატმოსფეროს სრული წნევა ცნობილი არ იყო. რადიოასტრონომიული დაკვირვებანი გვიჩვენებდა, რომ მაღალი ტემპერატურაა ზედაპირზე, მაგრამ მათი ინტერპრეტაცია საეჭვოდ ერთნაირი არ ყოფილა. ზოგიერთი მეცნიერი ვარაუდობდა, რომ ვენერადან მომავალი რადიოსიგნალის ინტენსივობა გამოწვეულია ატმოსფეროში ამა თუ იმ ელექტრული პროცესებით. ამიტომ, ნამდვილი სურათის გასარკვევად უდიდესი მნიშვნელობა აქვს პირდაპირ ექსპერიმენტს, რომელიც დასაშვებმა აპარატმა განახორციელა.

გაზანალიზატორ-ვაზნებში შეჰყავდათ ატმოსფეროს სინჯი სიმაღლის ორ დონეზე. უშუალოდ პარაშუტის გახსნის შემდეგ დაახლოებით 26 კილომეტრ სიმაღლეზე ატმოსფეროს სინჯი შეიტანეს ხუთ ვაზნაში. დანარჩენ ექვს ვაზნაში სინჯი შეიტანეს პარაშუტრების დაწყების 847 წამის შემდეგ, დაახლოებით 23 კილომეტრ სიმაღლეზე. სინჯების შეყვანის შემდეგ გაზანალიზატორი-ვაზნები მერმეტულად იხურებოდა. თითოეულ ვაზნაში იყო აქტიური შთანმაქმელი, რომელიც ნთქავდა ატმოსფეროს ერთ-ერთ ქიმიურ კომპონენტს. რაც შესაძლებლობას გვაძლევდა განგვესაზღვრა ამ კომპონენტის შემცველობა ვაზნაში წნევის შემცირების კვალობაზე.



დასაშვები აპარატის ატმოსფეროში ფრენისა და დაჯდომის სქემა.

1. პლანეტისასლო სეანსის დაწყება. 2. დასაშვები აპარატის (და) მოცილება ორბიტული ნაკვეთურისაგან. 3. დასაშვები აპარატის დამუხრუჭება ატმოსფეროში. 4. სამუხრუჭო პარაშუტის გაშლა. 5. ძირითადი პარაშუტის გაშლა. დასაშვები აპარატის ბორტიდან რადიოინფორმაციის გადმოცემის დაწყება. 6. რადიოსიმაღლეგზომის მუშაობის დაწყება. სამეცნიერო განზომილებანი. 7. დაჯდომა.

ზოგჯერ ეს ინფორმაციის ბლოკებიც ერთ-ერთ ინფორმაციულ ბლოკად ერწყმოდა. ეს ბლოკი ინფორმაციას ანტენის ბოლოებიდან ორ ბოლოებზე





თვალს მოსწონს, გულს უხარია

საიუბილეო დღეებში ბევრ სიახლეს ნახავთ. საქართველოს მშრომელები ცდილობენ ყველაფერი, რასაც ახლა აკეთებენ, ჩვენი დიადი სამშობლოს სახელოვან თარიღს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცდამეათე წლისთავს დაუკავშირონ. ეს დიდი გარჯა, მშენებლობები, რეკონსტრუქციები შემთხვევითი როდია. ყველაფერი წინასწარ განზრახული, რომ იტყვიან, ასკერ გაზომილია...

საბჭოთა ადამიანები თავიანთ დაწესებულებებში, საწარმოებში იკრიბებოდნენ, მსჯელობდნენ, თუ როგორ შეხვედროდნენ პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ნახევარი საუკუნის იუბილეს, რა საჩუქრები მიეძღვნათ ამ ღირსშესანიშნავი დღისათვის.

ამის ერთ-ერთი მაგალითია იმ დიდი მუშაობა, რომელიც საქართველოს სამხმხმარებლო კოოპერაციამ გასწია. საიუბილეო წლის დასაწყისშივე ცეკავშირის მუშაკებმა ვალდებულება აიღეს და დასახეს მთელი რიგი ღონისძიებანი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. ვალდებულების ერთ-ერთ პუნქტში ჩაწერილი იყო — საქონელბრუნვის წლიური გეგმა 25 დეკემბრისათვის შეესრულებინათ.

თვითეული მუშაკი სახახელოდ შრომობს და საიუბილეო წლის საქონელბრუნვის 9 თვის გეგმა 101,1 პროცენტით შეასრულეს, გეგმის ზევით კი სოფლის მოსახლეობას 8 მილიონ 936 ათასი მანეთის სხვადასხვა პროდუქცია მიჰყიდეს.

„ცეკავშირმა" 1967 წლის მესამე კვარტალში საკავშირო შეჯიბრებაში კვლავ გაიმარჯვა და წელს მესამედ მოიპოვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

ციფრების ენით ლაპარაკი თითქოს მოსაწყენი და მომაბეზრებელია, მაგრამ მათ უკან ათასობით ადამიანი დგას, მათში ადამიანთა ენთუზიაზმი და შრომისმოყვარეობა გამოსჭვივის. ეს ციფრები შრომის სიმფონიაა, ისინი საბჭოთა ხალხის ბედნიერ ცხოვრებაზე მეტყველებენ.

კიდევ რამდენიმე ციფრი: ცეკავშირის საქკოოპშენის ტრესტმა საიუბილეო წელს იკისრა აგოს და საექსპლოატაციოდ გადასცეს 270 ობიექტი. ეს ვალდებულება წარმატებით სრულდება და 9 თვის გეგმა შესრულებულია 104,5 პროცენტით. წელს აიგო და მწყობრში ჩადგა საჩხერის საკონსერვო ქარხანა 7 მილიონი პირობითი ქილის წარმადობით, წნორის ლუდის ქარხანა 230.000 დეკალიტრის წარმადობით; სიღნაღის, ყვარლის, ლაგოდეხის, დუშეთის, მახარაძის, ხულოს, აბაშის რაიონებში აშენებულია პურის ქარხნები, რომლებიც დღეში თხუთმეტ-თხუთმეტ ტონა პურს აცხობენ. გაიხსნა და მომხმარებლთა მოწონებას იმსახურებს 171 სოფლის უნივერსალური მაღაზია, 31 რესტორანი და პავილიონი, სასურსათო და სამრეწველო საქონლის დიდი ტევადობის 10 საწყობი. რეკონსტრუირებულია 40-ზე მეტი მაღაზია და საზოგადოებრივი კვების 20 ობიექტი.

...შეხედეთ, საქართველოს ისედაც ულამაზესი ადგილები როგორ გაამშვენიერა იმ შენობებმა, რომლებსაც ცეკავშირის მუშაკები აგებენ ჩვენს სოფლებში, რაიონულ ცენტრებში, გზაჯვარედინებზე!..

10 დღეზე ცოტა მეტი დარჩა საბჭოთა სახელმწიფოს იუბილეამდე. ავ თვალს არ ენახება წულუკიძის სავაჭრო ცენტრი, რომელიც საზეიმოდ პირველ ნოემბერს გაიხსნება. ეს არქიტექტურულად გაფორმებული შესანიშნავი ორსართულიანი შენობა წულუკიძის რაიონის მშრომელთა საიუბილეო საჩუქარია. წულუკიძის სავაჭრო ცენტრში პირველი დღიდან დაინერგება საბჭოთა ვაჭრობის უახლესი მეთოდები და ფორმები. 48 სავაჭრო ადგილზე გაიყიდება სახალხო მოხმარების საგნების ყველა ასორტიმენტი, ერთად თავმოყრილი ყველა სახის სავაჭროები მომხმარებელს მოამარაგებენ ფართო ასორტიმენტის სამრეწველო და სახურსათო საქონლით. წულუკიძის სავაჭრო ცენტრი ხანიმშუში და ერთი პირველთაგანი იქნება საბჭოთა კავშირში სამომხმარებლო კოოპერაციის ხაზით.

ასეთივე კეთილმოწყობილი სავაჭრო ცენტრი პირველ ნოემბერს გაუღებს კარებს მომხმარებელს გარდაბანში.

ამჟამად ხარაჩოებშია ჩასმული და გაისად გაიხსნება სავაჭრო ცენტრი თეთრი წყაროს რაიონის კურორტ მანგლისში.

ამ რამდენიმე წლის წინათ წითელ ხიდთან სამი მოკავშირე რესპუბლიკის აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს საზღვარზე, მდინარე ხრამის ნაკრძალში გაიხსნა კომპლექსური რესტორანი „მარანი", რომელიც ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების მშრომელებთან ერთად მომსახურებას უწევს ტურისტებსაც.

საბჭოთა საკლანეტათშორისო „საღგური ვენერა-4"

(დასასრული)

სით 400 გრადუსამდე გარემომცველი გაზის ტემპერატურის გასაზომად. წნევა იზომებოდა ანეროიდული ტიპის ჩვეულებრივი ბარომეტრული გადამწოდით. სიმკვრივის საზომის დიაპაზონი ნახშირორჟანგის გასაზომავად შეადგენდა 5×10^{-4}-დან $1,7\times10^{-2}$-მდე გრამს კუბურ სანტიმეტრში.

სიმკვრივის საზომის მოქმედების პრინციპს საფუძვლად უდევს გაზის ატომებისა და მოლეკულების იონიზაცია გადამწოდის მოცულობაში ბეტა-გამოსხივების წყაროს მიერ შექმნილი სწრაფი ელექტრონებით, და იმ იონური დენის სიდიდის გაზომვა, რომელიც ატმოსფერული გაზის სიმკვრივის ფუნქციაა. აპარატურა მუშაობდა განუწყვეტლივ დასაშვები აპარატიდან რადიოსიგნალების მიღების დამთავრების მომენტამდე. გაზომვათა შედეგების ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ვენერას ატმოსფეროს ახასიათებს მაღალი წნევა, სიმკვრივე და ტემპერატურა.

ატმოსფეროს პარამეტრების დაკავშირება სიმაღლესთან დაიწყო ვენერას ზედაპირიდან 26 კილომეტრ სიმაღლეზე.

სიმაღლის ხელსაწყოთა ჩვენებების შემდგომი დაკავშირება ხორციელდებოდა ორი მეთოდით.

პირველ შემთხვევაში პარაშუტის ცნობილი აეროდინამიკური მახასიათებლებისა და ატმოსფეროს სიმკვრივის მიხედვით ანგარიშობდნენ დაშვების სიჩქარეს და ინტეგრირების შედეგად განსაზღვრავდნენ სიმაღლის დამოკიდებულებას დროისაგან.

მეორე შემთხვევაში დროის მიხედვით სიმაღლის შეცვლას განსაზღვრავდნენ ბარომეტრული ფორმულით, ამასთან იყენებდნენ მიღებულ მონაცემებს ატმოსფეროს შედგენილობის, სიმკვრივისა და ტემპერატურის შესახებ. ორივე მეთოდით განხორციელებულ გაანგარიშებათა შედეგები ემთხვევა ერთმანეთს.

სიმაღლის მიხედვით ვენერას ატმოსფეროს ტემპერატურის შეცვლის გრაფიკი ნაჩვენებია სურათზე.

ზედაპირის ქვედა ფენაში ტემპერატურის შეცვლა უახლოვდება წრფივს, რომლის საშუალო ტემპერატურული გრადიენტი დაახლოებით 10 გრადუსია კილომეტრზე. დაშტრიხული ნაწილი შეიფარგლება ფენებით, სადაც ადგილი ხელსაწყოთა ჩვენებებში. პლანეტის ზედაპირთან გადამწოდით გაზომილი ტემპერატურის უკანასკნელი მნიშვნელობა, როგორც მოყვანილი გრაფიკიდან ჩანს, შეადგენს დაახლოებით 280 გრადუსს.

სურათზე ნაჩვენებია წნევის ცვლილების ხასიათი სიმაღლის მიხედვით, რომელიც გაზომილია უშუალოდ ბარომეტრული გადამწოდით, აგრეთვე გაანგარიშებულია გაზის ცნობილი შედგენილობის დროს სიმკვრივისა და ტემპერატურის მნიშვნელობათა მიხედვით. ამასთან ვენერას ზედაპირთან წნევა დაახლოებით 15-22 ატმოსფეროა.

ამრიგად, პირველად მივიღეთ ვენერას ატმოსფეროს პარამეტრების უშუალო საიმედო გაზომვები. ამან გზა გაუკაფა ვენერაზე გაფრენების შემდგომ საიმედო განხორციელებასა და მის ახალ საიდუმლოებათა ამოხსნას.

სადგურ „ვენერა-4"-ის მიერ განხორციელებულ სამეცნიერო გაზომვათა მონაცემებს დეტალურად სწავლობენ და აზუსტებენ.

შემდგომი ანალიზის შედეგები გამოქვეყნდება სამეცნიერო ჟურნალებში.

ავტომატური სადგურის „ვენერა-4"-ის წარმატებით გაფრენა და დაჯდომა მზის სისტემის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო პლანეტაზე და ურთულესი სამეცნიერო ექსპერიმენტების მოწყობა ახალი უდიდესი მიღწევაა საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკისა, რომლებმაც არნახულ მწვერვალებს მიაღწიეს სრულიად ზეშთა პირობებში. ეს კიდევ ერთი მკაფიო დადასტურებაა იმისა, თუ როგორ წარმატებით სრულდება კომუნისტური მშენებლობის დიდებული პროგრამა, რომელიც სკკპ XXIII ყრილობამ დაგვისახა.

საბჭოთა სადგურის „ვენერა-4"-ის გაფრენით გადაწყდა სპალანეტათშორისო მიმოსვლის ერთ-ერთი ურთულესი ტექნიკური ამოცანა, რითაც ახალი ფურცელი იწყება მზის მახლობელი კოსმოსური სივრცისა და პლანეტების ათვისებაში.



ტემპერატურის ცვლილება ვენერას ატმოსფეროში სიმაღლეზე.



წნევის ცვლილება ვენერას ატმოსფეროში სიმაღლეზე.

ტუნისის საზონათაშორისო

ტუნისის საზონათაშორისო საჭადრაკო ტურნირის მეხუთე ტურში ლიდერთა ჯგუფის სამმა წარმომადგენელმა კიდევ თითო ქულა ჩაიწერა აქტივში. ესენი იყვნენ — ბ. ლარსენი, ვ. გორტი და რ. ფიშერი. პირველმა მოუგო მაგმარსურენს, მეორემ — მ. კუილარს, მესამემ — ს. სარაპუს (ახალი ზელანდია).

წარმატებით იბრძოდა ლ. ქავალეკი. მან დაამარცხა რ. ბირნი. ლ. ბარეაიმ მოუგო ს. ბუჯიზს. ა. გიპსლისი და ვ. კორჩნოი ყაიმზე შეთანხმდნენ. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე ს. რეშევსკი-ლ. შტეინის, ხ. მეკინგ-ლ. პორტიშის, დ. სატლს-ი. ბილეკის, ს. გლიგორიჩ-მ. მატანოვიჩისა და ბ. ივკოვ-ა. მატანოვიჩის პარტიები.

კეირას შედგა მეექვსე ტური. ვ. გორტმა მოუგო ო. სარაპუს, ლ. შტეინმა — რ. ბირნს, ო. სატლსმა — ლ. ბარეაის. რ. ფიშერ-ლ. ქავალეკის, ვ. გელერ-ა. გიპსლისის, ვ. კორჩნოი-ხ. რეშევსკის. ი. ბილეკ-ს. გლიგორიჩის და ლ. მაგმარსურენ-ვ. მეკინგის პარტიები ყაიმით დამთავრდა. ბ. ივკოვის ავადმყოფობის გამო მისი პარტია მ. მატანოვიჩთან ორ შემდგარა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ლიდერია ვ. გორტი, რომელსაც 6-დან 4,5 ქულა აქვს. რ. ფიშერს 5-დან 4 ქულა აქვს, ლ. შტეინსა და ბ. ლარსენს — 3,5-3,5 ქულა 5-დან, ა. გიპსლისს — 3,5 ქულა 6-დან.

ო. ფხაკაძის რეკორდი

ᲛᲔᲮᲘᲙᲝᲨᲘ ფინიშს უახლოვდება „მცირე ოლიმპიადა".

შტანგისტთა ასპარეზობაში ჩვენმა ძალოსნებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ მათ მსოფლიოში ბადალი არ მყავთ. მძიმე წონაში სიბჭოთა გოლიათს ლ. შაბოტინსკის ამ შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიუღია. მის მაგივრად ფიცარნაგზე გამოვიდა სტანისლავ ბაბიჩევი, რომელსაც მთავარი პაექრობა ჰქონდა ამერიკის წარმომადგენელ ჯონ დიუბოთან, რომელიც 141,8 კილოგრამს იწონის. მეტოქეებმა სამჯიდში აჩვენეს ერთნაირი შედეგი — 550 კილოგრამი, მაგრამ, რადგან ს. ბაბიჩევის პირადი წონა 19 კილოგრამით ნაკლები იყო, ოქროს მედალი მას მიეკუთვნა.

ჩვენი თანამემამულის ოშარ ფხაკაძის შედეგმა საერთო აღიარება ჰპოვა. 200 მეტრზე გიტში ამით ცეკავშირმა საფუძველი ჩაუყარა ქართული ეროვნული მბატვრობითა და არქიტექტურით გალამაზებულ რესტორან-კომპლექსების მშენებლობას.

შარშან ქართველმა ხალხმა მთელ პროგრამულად „ცოცხრობასთან ერთად დიდი ზეიმით აღნიშნა უკვდავი შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავი. იმ დღეებში საქართველოში განსაკუთრებით ბევრი სტუმარი იყო. რუსთაველის სამშობლო მასპინძლობდა ხუთივე კონტინენტის გამოჩენილ ადამიანებს. შოთა რუსთაველის სტუმრებს მაშინ პირველად კარი გაუღო მცხეთის მარანმა-რესტორანმა. ზღვრბლზე გადაბიჯებისთანავე სტუმრებმა თავი თითქოს ჭარსულ საუკუნეებში იგრძნეს. მამაპაპურ ქართულ დარბაზში ყველა ის სამკაული და ჯამ-ჭურჭელია, რომელიც ოდითგანვე ქართველი კაცის სუფრას ამშვენებდა. აქ მუუდრო, დამამშვიდებელ გარემოცვაში ხვდება ადამიანი.

რესტორანებმა „მცხეთამ" და „მარანმა" მშრომელთა საყოველთაო მოწონება დაიმსახურეს, მაგრამ ამით არ დაკმაყოფილდა ცეკავშირის საქკოოპრეკლამის სამმართველო. იგი ამ დღეებში შეუდგება რესტორან „მცხეთაში" მეორე რიგის სამუშაოების შესრულებას. აქ აშენდება სამომხმარებლო კოოპერაციის რესპუბლიკური სკოლა — რესტორანისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მთელი კომპლექსი, რომელიც გახდება კვალიფიციური მზარეულების სამჭედლო. აქ შეისწავლიან განთქმული მრავალფეროვანი ქართული კერძების გემოვნებით გაკეთებას.

ცეკავშირის ხელმძღვანელობა საუკეთესო საზოგადოებრივი კვების ობიექტების მშენებლობებთან ერთად დიდ ყურადღებას აქცევს ძველი ქართული ეროვნული კერძების აღდგენას და მათს დანერგვას წარმოებაში. ყველაფერი ეს მიმართულია იქითკენ, რომ შნო და ლაზათი არ დაეკარგოს ქართულ სუფრასა და პურმარილს.

საქართველოს სამხედრო გზაზე, სადაც ქართული ენერგეტიკის პირმშო — ზაჰესია აღმართული, მგზავრი არ შეიძლება არ შეჩერდეს. ბუნების ამ შესანიშნავ სილამაზეს უფრო ამშვენებს და მიმზიდველს ხდის ზემოდან გადმომცქერალი უძველესი ჯვარის მონასტერი. გზის მარცხენა მხარეს მხატვრულად გაფორმებული ობელისკიდან მოჩუხჩუხებს ცივი ანკარა წყარო, რომელსაც აწერია: „აქ 1828 წელს გავლით შეჩერდა ა. ს. პუშკინი", იქვეა „საკაშნიკე". სადაც მგზავრს შეუძლია მიირთვას განთქმული მცხეთური ღვეზელი და ეგრეთოდ ქართული ბაჟაპური.

აქვე შეიძლება საკაშნიკე სასმისებით დალიოთ ყოველგვარი ქართული ღვინო. „საკაშნიკეში" ამ დღეებში კიდევ ერთი სიახლე დაინერგება: თიხის პატარა ჭოთნებში ქართულად შეკმაზული ლმბანოთი, პატნანი ჭეინტი ყველითა და ცხელი ჭვადებით გაუმასპინძლდებიან მომხმარებელს.

ამერეთსა და იმერეთს ერთმანეთს რიოთის უღელტეხილი აკავშირებს. ამ გზაზე ხშირია მიმოსვლა ავტომანქანებით. ამიტომ ცეკავშირი უღელტეხილის მწვერვალზე პირველ ნოემბერს გახსნის შესანიშნავ რესტორან „ივერიას", „ივერიაში" შერწყმულია ქართული ეროვნული არქიტექტურის დამახასიათებელი ნიმუშები სამსართულიანი სვანური კოშკით. კოშკის სართულებზე მოწყობილია მცირე დარბაზები, სადაც მომხმარებლებს შეეძლებათ მიუსხდნენ ქართულ სუფრას.

უახლოეს ხანში რესტორანის თვალწარმტაც ტერიტორიაზე აიგება „სანადირო სახლი" მონადირეების ღამის გასათევად და ცალკე კოტეჯები. ავტოტურისტების უკეთ მომსახურების მიზნით გზის მეორე მხარეს აშენდება სპეციალური მაღაზია, რომელიც ივაჭრებს ავტოსათადარიგო ნაწილებით.

შესანიშნავი ჩანაფიქრია!..

ცეკავშირის გამგეობა მარტო იმით როდი კმაყოფილდება, რომ გზებზე, რაიონულ ცენტრებში და სოფლებში გახსნას უნივერსალური მაღაზიები და საზოგადოებრივი კვების ობიექტები, ამასთან ამ უკანასკნელ წლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საბჭოთა მეურნეობის მუშებისა და კოლმეურნეების მომსახურებას მინდვრად, პლანტაციებში — ცხელი კერძების დატარებით. ვაჭრობისა და საველე სასადილოების მოწყობის გზით მიმდინარე წლის ათ თვეში მომსახურეობა გაეწია 10.012 ბრიგადას.

ამ დიდ საქმეს უნარიანად ხელმძღვანელობს ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე, გამოცდილი პარტიული და სამეურნეო მუშაკი ნიკოლოზ ჯავახიძე. მინდობილი საქმის კეთილსინდისიერად და ბრწყინვალედ შესრულებაში თავი გამოიჩინეს ცეკავშირის ტრესტებმა „საქკოოპშენის" მმართველმა ი. ხარაგეშვილმა; „საქკოოპრეკლამის" სამმართველოს უფროსმა მ. აბლედიანმა. არქიტექტორებმა ვ. დემეტრაშვილმა, ჯ. ჯანელიძემ, მხატვრებმა ლ. ცოფიანმ, გ. ოჩიაურმა, კონსტრუქტორმა ო. ქურხულმა, ინჟინრებმა ლ. ლურსმანაშვილმა, ტ. ნანეიშვილმა, ბ. ჯინჯიხადემ, ბრიგადირმა გ. კოკაშვილმა, მუშებმა რ. თოფურიშვილმა, ვ. მიხალჩენკომ, ი. მილაძემ, მ. პრიხოდკომ და სხვებმა.

მალე საბჭოთა ხალხი დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის იუბილეს იზეიმებს. ამ საყოველთაოსახალხო ღღესასწაულს, ამ სახალხო ზეიმს სილამაზეს, შნოსა და ლაზათს შემატებს ცეკავშირის მუშაკების ეს თვალსაჩინო ნახელავი და ნამოქმედარი. კარგ საქმეებს კარგი ადამიანები აკეთებენ.

ბ. ბახტურიძე.

* * *

სურათებზე: ზემოთ მარცხნიდან — რესტორანი „ივერია" რიოთის უღელტეხილზე; მიმდინარეობს გარდაბნის საავტო ცენტრის უკანასკნელი სამუშაოები; „საკაშნიკე" ზაჰესთან. ქვემოთ — საავტო ცენტრი ქალაქ წულუკიძეში.



კიდევ სამი გროსმაისტერი

ᲕᲔᲜᲔᲪᲘᲐᲨᲘ მუშაობა დაამთავრა საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის 38-ე კონგრესმა. კონგრესზე სხვა საკითხებთან ერთად განხილულ იქნა მოქალაქეთათვის საერთაშორისო გროსმაისტერისა და საერთაშორისო ოსტატის წოდებათა მინიჭების საკითხი.

საბჭოთა კავშირიდან საერთაშორისო გროსმაისტერის წოდება მიეკუთვნათ რიგელ ივარ გისლისს, ეიველ ედუარდ გუფელდს, ელადიოსტოკელ ალექსანდრე ზაიცევს.

ამრიგად, ახლა საერთაშორისო გროსმაისტერების საერთო რიცხვმა საბჭოთა კავშირში ოცდათერთმეტს მიაღწია.

საერთაშორისო ოსტატის წოდება მიეკუთვნა თბილისელ ნ. ალექსანდრიას, ხარკოველ ო. ანდრეევას, ოსელ ა. კისლოვას, დონის როსტოველ ს. ეუხოვიცკის, ტბილისელ ა. ლუტიკოვს და ხარკოველ ვ. საკონს.

საერთაშორისო არბიტრის წოდება მიენიჭა მოსკოველ ბ. ბარანოვს.

ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

22 და 23 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ შედგა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები ფეხბურთში უმაღლესი ლიგის გუნდებისათვის.

ᲛᲣᲠᲐᲕᲯᲕᲝᲑᲘᲡ ცენტრში იდგა კვირის შეხვედრა მოსკოვთა დედაქალაქის „დინამოსა" და მინსკელ თანაგრძნობელთა შორის. მინსკელებმა აღმავლობით ჩაატარეს ბრძოლა და გაიმარჯვეს 2:0. 36-ე და 68-ე წუთებზე ბურთები გაიტანეს მუსტაფინმა და ვასილიევმა. ამრიგად, ლიდერმა მეორე დამარცხება განიცადა.

ᲚᲔᲜᲘᲜ�გᲠᲐᲓᲨᲘ პაექრობა ჰქონდათ მოსკოვის „სპარტაკსა" და აუტსაიდერს — ლენინგრადის „ზენიტს". მეტოქეებს ბურთი არ გაუტანიათ — ფრე.

ᲑᲣᲨᲘᲜ შედგა კიდევ ორი მატჩი. არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდი საკუთარ მოედანზე თამაშობდა გასული წლის ბრინჯაოს მრიზიორთან — ბაქოს „ნეფტიანიკთან". მეტოქეებმა თითო ბურთი გაიტანეს და შეხვედრა ფრედ დამთავრეს.

ᲚᲣᲒᲐᲜᲡᲙᲘ დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის გუნდი ეწვია და აქ პაექრობა ჰქონდა ადგილობრივ „ზარიოსთან" შეხვედრა დამთავრდა ლეგანსკელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

△ **ᲓᲝᲜᲔᲪᲙᲘᲡ** „შახტიორის" ფეხბურთელთა კოლექტივი დასავლეთ ბერლინს ეწვია და აქ გამართა საერთაშორისო მატჩი ადგილობრივ სკლუბთა გუნდთან „გერტთან". გამიმარჯვეს მასპინძლებმა ანგარიშით 3 : 1.

△ **ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝ** კატასტროფის შედეგად დაიღუპა ცნობილი იტალიელი ფეხბურთელი **ლეონჯო მერონი**, რომელიც თამაშობდა „ტორინოს" საკლუბო გუნდში. მერონი გამოდიოდა მსოფლიოს უკანასკნელ ჩემპიონატზე იტალიის ნაკრებში.

△ **ᲗᲘᲗᲘᲛᲘᲜᲘ** თვენახევრის „შესვენების" შემდეგ, რომელიც გამოწვეული იყო ტრავმით, ექიმებმა ნება დართეს პელეს ითამაშოს. პელემ კიდევ სამი წლით მოაწერა ხელი კონტრაქტს „სანტოსთან".

დუგლიორთა შეხვედრა

ᲑᲣᲨᲘᲜ გაიმართა უმაღლესი ლიგის გუნდების დუბლიორთა საკავშირო ტურნირის მორიგი შეხვედრები ფეხბურთში. თბილისში თამაშობდნენ ადგილობრივი „დინამოსა" და ტაშკენტის „პახტაკორის" კოლექტივები. გაიმარჯვეს მასპინძლებმა ანგარიშით 2:1.

„ᲖᲦᲕᲘᲡ" ᲙᲔᲗᲘᲚᲛᲝᲬᲧᲝᲑᲐ

ᲧᲕᲐᲠᲚᲘᲡ „ზღვა", რომელიც შეტანილია საქართველოს მთავარ ტურისტულ მარშრუტში, ემზადება სტუმრების მისაღებად. აქ უკვე გაყვანილია იმქსილომეტრიანი გზატკეცილი. „ზღვის" თვალწარმტაცი ნაპირებზე, რომლებიც გარშემორტყმულია კავკასიონის მთებით, შენდება მონადირის სახლი. აქ აშენდება აგრეთვე მრავალსართულიანი ტურისტული ბაზა, რესტორანი, ელინგი.

ხუთი წლის წინათ ყვარლის მიდამოებში 125 ჰექტარ ფართობზე გაშენდა ხელოვნური ტბა. მან მორწყა 2,5 ათასი ჰექტარი მიწა, ხოლო მომავალი წლიდან ყვარლის „ზღვა". როგორც მას ადგილობრივი მცხოვრებლები უწოდებენ, თავის ნაპირებზე მიიღებს ათასობით ტურისტს. ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან. (სქ.ფესი).

ᲠᲐ ᲕᲜᲐᲮᲝᲗ, ᲠᲐ ᲛᲝᲕᲘᲡᲛᲘᲜᲝᲗ

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

24 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

10.00 — კინონარკვევები. 10.30 — მხატვრული ფილმი „ყინულოვანი წყვდიადის მიღმა", 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — მოსწავლეთათვის მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 18.30 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე „დინამო" თბილისი—„პახტაკორი" ტაშკენტი. შესვენების დროს — სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის — ვიქტორინა ხანძარსაწინააღმდეგო თემაზე, 20.15 — კოსტიერი. 20.45 — სატელევიზიო მრავალსერიანი დოკუმენტური ფილმი „ნახევარი საუკუნის მატიანე" 1948 წელი (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.30 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 21.50—მხატვრული ფილმი „ყინულოვანი წყვდიადის მიღმა", 23.10— გადაცემათა პროგრამა 25 ოქტომბრისათვის; 23.15 — მუსიკალური პროგრამა „ჩვენი მეგობრების ესტრადა" — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა (გადმოცემა მოსკოვიდან).

რედაქტორის მოადგილე
ბ. თათარიშვილი.

კომუნისტი

თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03. 9-03-09, პ/მ მდივნის — 9-72-80 სამდივნოსი — 9-66-10 განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61 პროპაგანდის — 8-22-93, მრეწველობის — 3-20-34, სოფლის მეურნეობის — 9-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 3-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 3-27-58 ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 8-16-90, წერილების — 9-73-24 ილუსტრაციის — 8-28-54, განცხადებების — 3-93-96.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЕ 03409 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.